საქართველოს მოსახლეობისა და ეთნიკური უმცირესობების განწყობების კვლევა საქართველოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით

2025 წლის იანვარი

სარჩევი

- მეთოდოლოგია ---------- 3
- ძირითადი მიგნებები --------- 4
- საქართველოს ამომრჩევლების და ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური კუთვნილება ---- 16
- საქართველოში არსებული ვითარების ზოგადი შეფასება და ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილება ----- 22
- პოლიტიკური კრიზისი და მისი ინდიკატორები -------- 25
- ქვეყნის წინაშე მდგარი მწვავე პრობლემები ------ 29
- „ქართული ოცნების“ საგარეო კურსის შეფასება ------- 32
- საქართველოში მიმდინარე პროტესტის მიმართ დამოკიდებულება --------- 35
- „დიფ სთეითის“ და „გლობალური ომის პარტიის“ ანტიქართული გავლენის შეფასება ---------- 41
- საერთაშორისო სტრუქტურებში საქართველოს გაწევრების მხარდაჭერა ---- 43
- 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შეფასება ------- 47
- ახალი საპარლამენტო არჩევნების მიმართ დამოკიდებულება ----- 54
- ვინ არის საქართველოს კანონიერი პრეზიდენტი? ---------- 65
- პოლიტიკოსების მიმართ კეთილგანწყობა --------- 67
- სანქციების მიმართ დამოკიდებულება ---------- 72
- საინფორმაციოს წყაროები ---------- 77
- დემოგრაფიული მონაცემები ---------- 84

მეთოდოლოგია

- **კვლევის ტიპი:** რაოდენობრივი კვლევა
- **სამიზნე ჯგუფი:** საქართველოს სრულწლოვანი (18+) მოსახლეობა
- **შერჩევით ერთობლიობა:** 2000 რესპონდენტი **(+ Oversampling 150 რესპონდენტი ეთნიკური უმცირესობების შერჩევისთვის; ჯამში, ეთნიკური უმცირესობები - 384 რესპონდენტი).**
- **მეთოდი:** პირისპირ ინტერვიუ
- **შერჩევა:** ალბათური, კერძოდ კლასტერული შერჩევა წინასწარი სტრატიფიკაციით
- **შერჩევის ცდომილება:** ±2.2% მთლიანი შერჩევისთვის, 95%-იანი სანდოობით
- **გამოპასუხების წილი:** 74.4%
- მონაცემების **შეწონვა** მოხდა დემოგრაფიული ცვლადების (სქესი, ასაკი, განათლების დონე, რეგიონები, ქალაქი/სოფელი), აგრეთვე, 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგების (მათ შორის ეგზიტ-პოლის შედეგების მიხედვით) მიხედვით.
- **<u>საველე სამუშაოები განხორციელდა 2025 წლის 18-30 იანვრის შუალედში.</u>**

კვლევის დონორები: სამოქალაქო საზოგადოების ფონდი და საქართველოს გაეროს ასოციაცია

კვლევა განახორციელა სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტმა (ISSA).

ძირითადი მიგნებები

პოლიტიკური კუთვნილების მიხედვით დიფერენცირებული ჯგუფები

- საქართველოს მოსახლეობა(ამომრჩევლები), პოლიტიკული კუთვნილების მიხედვით, ასე ნაწილდება: 1. ქ/ოცნების & Co ამომრჩევლები (34.1%); 2. ოპოზიციონერები (59.7%) და 3. გაურკვევლები (6.2%). **ეთნიკურ უმცირესობებში** აღნიშნული ჯგუფები განსხვავებულად არის გადანაწილებული - ყველაზე მეტი ამომრჩეველი ჰყავს ქ/ოცნებას & Co; ასევე, მნიშვნელოვნად იზრდება "გაურკვევლების" წილი: 1. ქ/ოცნების & Co ამომრჩევლები (48%); 2. ოპოზიციონერები (35.8%) და 3. გაურკვევლები (16.6%).

- **ეთნიკური უმცირესობების** იმ ქვეჯგუფში, ვინც ქ/ოცნების & Co მომხრეა, უმრავლესობა (58%) - ძლიერი მომხრეა; საქართველოს მოსახლეობაში ვითარება არის პირიქით: ქ/ოცნების & Co მომხრეთა ჯგუფში გამოკვეთილი უმრავლესობა (64%) სუსტ მომხრეთა კატეგორიას მიეკუთვნება.

- ქ/ოცნების & Co მომხრეებში, როგორც საქართველოს მოსახლეობაში, ასევე **ეთნიკურ უმცირესობებში,** ყველაზე ნაკლებად წარმოდგენილები არიან ახალგაზრდები (18-29 წწ.).

ქვეყნის განვითარების კურსის შეფასება და ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილება

- ქვეყნის განვითარების კურსის ზოგად შეფასებასთან მიმართებით, კარდინალური სხვაობაა: საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა (61.7%) ქვეყნის არასწორი მიმართულებით სვლაზე საუბრობს, **ეთნიკური უმცირესობების** იგივე წილი (62.2%) კი ქვეყნის განვითარების სწორ კურსზე მიუთითებს.

- ანალოგიურად, ბოლო 2 წლის განმავლობაში საკუთარი ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ძირითადად **ეთნიკური უმცირესობები** ამახვილებენ ყურადღებას (40%), ხოლო გაუარესებაზე- საქართველოს მოსახლეობა (35%).

პოლიტიკური კრიზისი, მისი ინდიკატორები და ქვეყნის წინაშე მდგარი მწვავე პრობლემები

- დღესდღეობით, საქართველოში პოლიტიკური კრიზისის არსებობას აღიარებს როგორც საქართველოს მოსახლეობის (82.1%), ისე **ეთნიკური უმცირესობების** (54.3%) უმრავლესობა. თუმცა კრიზისის აღქმა უფრო გამძაფრებულია საქართველოს მოსახლეობაში.

- პოლიტიკური კრიზისის ინდიკატორად, როგორც საქართველოს მოსახლეობაში, ისე **ეთნიკურ უმცირესობებში** იკვეთება ერთპარტიული პარლამენტის არსებობა. თუმცა, გამოიყო სხვა ინდიკატორებიც: მასობრივი საპროტესტო გამოსვლები საქართველოში ახალი არჩევნების დანიშვნის მოთხოვნით და პროტესტის მონაწილეთა ფიზიკური ანგარიშსწორება და დაპატიმრებები.

- ორივე ჯგუფში პოლიტიკურ კრიზისზე პასუხისმგებლობა ძირითადად „ქართულ ოცნებას“ ეკისრება.

- ქვეყნის წინაშე მდგარ ყველაზე მწვავე პრობლემებად, როგორც საქართველოს მოსახლეობაში, ისე **ეთნიკურ უმცირესობებში,** მიიჩნევა სოციალური საკითხები: მაღალი ფასები, უმუშევრობა, დაბალი ხელფასები და პენსიები და ა.შ. შედარებით უმნიშვნელო გამოწვევად აღიქმება რუსეთთან ომში ჩართვა.

„ქართული ოცნების“ საგარეო კურსის შეფასება

- როგორც საქართველოს მოსახლეობა, ასევე **ეთნიკური უმცირესობები** ყველაზე ნაკლებად მიუთითებენ ქართული ოცნების დასავლურ კურსზე (10%-ზე ნაკლები). ორივე ჯგუფში წამყვანია პოზიცია, რომ ქართული ოცნების საგარეო პოლიტიკა რუსეთის/რუსეთთან დაახლოებული ქვეყნების (ჩინეთი, ირანი და სხვ.) ინტერესების გატარებას ემსახურება (საქართველოს მოსახლეობა - 54.9%; **ეთნიკური უმცირესობები -** 48.2%).

- ძირითადად უარყოფითად ფასდება ირაკლი კობახიძის განცხადება (2024 წლის 28 ნოემბერი) ევროკავშირში გაწევრების პროცესის 4 წლით შეჩერებასთან დაკავშირებით (67%, **ეთნიკური უმცირესობები** - 50%).

მიმდინარე საპროტესტო აქციების მიმართ დამოკიდებულება

- საქართველოში მიმდინარე საპროტესტო აქციების მიმართ ლოიალურობას გაცილებით გამოხატავს საქართველოს მოსახლეობა (60%-მდე), **ეთნიკურ უმცირესობებთან** შედარებით (42.%). შესაბამისად, საპროტესტო აქციების მიმართ რეზისტენტულობა უფრო მაღალია **ეთნიკურ უმცირესობებში** (45.1%), ვიდრე საქართველოს მოსახლეობაში (31%).
- **ეთნიკურ უმცირესობებში** მკვეთრად დაბალი ინფორმირებულობაა (44%), საქართველოს მოსახლეობასთან (79%) შედარებით, ქართული ოცნების მიერ მიღებული იმ საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ, რომლებიც შეეხება პროტესტის გამოხატვის შეზღუდვას და საჯარო მოხელეების საქმიანობის რეგულირებას.

„დიფ-სთეითის“ და გლობალური ომის პარტიის ანტიქართული გავლენების დამაჯერებლობა

- **„დიფ-სთეითის“ და გლობალური ომის პარტიის** ანტიქართული გავლენების შესახებ ქართული ოცნების ნარატივი არადამაჯერებელია საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისთვის (54%). **ეთნიკური უმცირესობების** ძირითადი ნაწილი (47%) ამ საკითხზე პოზიციას ვერ/არ გამოხატავს, რაც ასევე გამოიკვეთა ინ ეთნიკური უმცირესობების ქვეჯგუფში, რომელიც ქ/ოცნების & Co მომხრეა.

საერთაშორისო სტრუქტურებში გაწევრება

- ორივე ჯგუფი ყველაზე მეტად მხარს უჭერს საქართველოს გაერთიანებას ევროკავშირში (საქართველოს მოსახლეობა - 86%, **ეთნიკური უმცირესობები** - 60%); ასევე, როგორც საქართველოს მოსახლეობის, ისე **ეთნიკური უმცირესობების** ნახევარზე მეტი ემხრობა ნეიტრალიტეტის პოლიტიკას.
- **ეთნიკური უმცირესობებისთვის** ყველაზე მიუღებელია ნატოში გაწევრება (ეწინააღმდეგება 47%, მომხრეა 32%); საქართველოს მოსახლეობაში პრინციპულად სხვა პოზიციაა (ემხრობა 74.2%). მეორე მხრივ, თუ საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 14% ემხრობა ოდკბ-ში გაწევრებას, **ეთნიკურ უმცირესობებში** მომხრეთა წილი 35%-ია.
- საქართველოს მოსახლეობაში, **ეთნიკურ უმცირესობებთან** შედარებით, უფრო მაღალია ინფორმირებულობა და უფრო დაბალია აშშ-ს მხრიდან საქართველოსთან სტრატეგიული პარტნიორობის შეჩერების მიმართ მიმღებლობა. მეორე მხრივ, **ეთნიკურ უმცირესობებში** ნაკლებად უარყოფითად ფასდება ჩინეთთან პარტნიორობის გაღრმავება (უარყოფითად აფასებს 22%), ვიდრე საქართველოს მოსახლეობაში (უარყოფითად აფასებს 44%).

26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შეფასება

- როგორც საქართველოს მოსახლეობის, ისე **ეთნიკური უმცირესობების** უმრავლესობა ადასტურებს მონაწილეობას 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში. ამასთან, ჩატარებული არჩევნების სამართლიანობაზე უფრო მეტად **ეთნიკური უმცირესობები** მიუთითებენ (41.4%), ვიდრე მთლიანი საქართველოს ამომრჩევლები (33.1%).
- **ეთნიკურ უმცირესობებში,** სიღარიბის დაძლევასთან ერთად, რომელიმე პოლიტიკური ძალისთვის 26 ოქტომბრის არჩევნებში ხმის მიცემაზე გავლენა მოახდინა რუსეთთან ომის საფრთხის თავიდან აცილებამ (40%); საქართველოს მოსახლეობისთვის რომელიმე პოლიტიკური ძალის სასარგებლოდ არჩევანის გასაკეთებლად პირველი რიგის გავლენის მქონე ფაქტორად სახელდება ქ/ოცნების ცვლილების აუცილებლობა (36%).
- ორივე ჯგუფში თანხმობაა იმასთან დაკავშირებით, რომ არჩევნების სამართლიანობაზე ძირითადი ნეგატიური გავლენა მოახდინა ამომრჩევლების მოსყიდვამ და დაშინებამ. თუმცა, **ეთნიკური უმცირესობების** შემთხვევაში, ასევე გამოვლინდა იმ **პირების პირადობის მოწმობების გამოყენების პრაქტიკა, რომლებმაც არ/ვერ მიიღეს მონაწილეობა არჩევნებში.**
- რადიკალური განსხვავებაა ქართული ოცნების ლეგიტიმურ/კანონიერ ხელისუფლებად მიჩნევის კუთხით: საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი (48%) ქართული ოცნების ხელისუფლებას არალეგიტიმურად მიიჩნევს (48%), ხოლო **ეთნიკურ უმცირესობებში** ქართული ოცნების ლეგიტიმაციას ცნობს ნახევარზე მეტი (52%).

ახალი საპარლამენტო არჩევნების მიმართ დამოკიდებულება

- ახალი არჩევნების დანიშვნას ეთანხმება საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა **(**62%), ხოლო **ეთნიკური უმცირესობების** 37%-მდე. აღნიშნულს არ ეთანხმება **ეთნიკური უმცირესობების** ნახევარზე მეტი (51.4%), რაც მნიშვნელოვნად აღემატება საქართველოს მოსახლეობაში ანალოგიური პოზიციის მქონეთა წილს (34.2%).
- ახალი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის მოლოდინი დაბალია ორივე ჯგუფში; თუმცა, კიდევ უფრო დაბალი **ეთნიკურ უმცირესობებში** (70%-მდე), საქართველოს მოსახლეობასთან შედარებით (51.6%). მეორე მხრივ, ახალი არჩევნების დანიშნვნის შემთხვევაში, ორივე ჯგუფი მონაწილეობის მაღალ მზაობას გამოხატავს.
- ქართულ ოცნებას უფრო მაღალი რეიტინგი აქვს **ეთნიკურ უმცირესობებში** (ალოკაციით 57%), ვიდრე საქართველოს მთლიან მოსახლეობაში (ალოკაციით 31.5%). ოპოზიციური პარტიებიდან ორივე ჯგუფში ლიდერობენ "ერთიანობა - ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" და „კოალიცია ცვლილებებისთვის".

ახალი საპარლამენტო არჩევნების მიმართ დამოკიდებულება (გაგრძელება)

- ახალი არჩევნების შემთხვევაში, ქართული ოცნების ერთპიროვნულად დარჩენას ხელისუფლებაში უფრო მეტად **ეთნიკური უმცირესობები** პროგნოზირებენ (36.3%), ვიდრე მთლიანი საქართველოს ამომრჩევლები (27.8%). ეთნიკურ უმცირესობებს არ აქვთ გამოკვეთილი პოზიცია ქ/ოცნების ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ რუსეთთან ომში ჩართვის საფრთხეზე, მაშინ როდესაც საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა (55%-მდე) არ იზიარებს მოსაზრებას, რომ თუ ქართული ოცნება ხელისუფლებაში არ დარჩება, გაიზრდება საქართველოს რუსეთთან ომში ჩართვის საფრთხე.
- როგორც საქართველოს მოსახლეობაში, ასევე **ეთნიკურ უმცირესობებში** იკვეთება ახალი არჩევნების სამართლიანად ჩატარების მოლოდინი.
- არცერთ ჯგუფში არ ვლინდება მკვეთრი პოზიცია, თუ, დღესდღეობით, ვინაა საქართველოს კანონიერი პრეზიდენტი. თუმცა, **ეთნიკურ უმცირესობებში** შედარებით მაღალი მიმღებლობაა მიხეილ ყაველაშვილის (38%), ვიდრე სალომე ზურაბიშვილის (25%) მიმართ.

პოლიტიკოსების მიმართ კეთილგანწყობა

- საქართველოს მოსახლეობა კეთილგანწყობას მხოლოდ სალომე ზურაბიშვილის მიმართ ავლენს. **ეთნიკურ უმცირესობებში** კეთილგანწყობის დადებითი მაჩვენებლები ძირითადად აქვთ ქართული ოცნების წარმომადგენლებს (ი. ღარიბაშვილი, ი. კობახიძე, კ. კალაძე, ბ. ივანიშვილი და ა.შ.). **ეთნიკურ უმცირესობებში** ოპოზიციური ლიდერებიდან დადებითი მაჩვენებლები გამოვლინდა მხოლოდ ორი პოლიტიკოსის - მიხეილ სააკაშვილის და სალომე ზურაბიშვილის - მიმართ.
- ბოლო თვეებში სხვადასხვა აქტორის საქმიანობის/მოვლენის შეფასებისას, ორივე ჯგუფში ყველაზე დადებითად ფასდება სალომე ზურაბიშვილის ქმედებები. საქართველოს მოსახლეობა ყველაზე უარყოფითად აფასებს მიხეილ ყაველაშვილის არჩევას პრეზიდენტად, ხოლო **ეთნიკური უმცირესობები** - ოპოზიციური პარტიების საქმიანობას.

სანქციების მიმართ დამოკიდებულება

- აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ბიძინა ივანიშვილისა და შსს მაღალჩინოსნების დასანქცირების შესახებ ინფორმაციას უფრო მეტად საქართველოს მოსახლეობა (საშუალოდ 81%) ფლობს, ვიდრე **ეთნიკური უმცირესობები** (საშუალოდ 45.5%).
- თუ მთლიანი საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა დაწესებულ სანქციებს სამართლიანად მიიჩნევს და იმაშიც დარწმუნებულია, რომ სანქციები ბ. ივანიშვილს და შსს მაღალჩინოსნებს ასუსტებს, **ეთნიკურ უმცირესობებში** ამ თვალსაზრისით ამბოვალენტური პოზიციებია; ასევე, **ეთნიკურ უმცირესობებში** მაღალია (დაახლოებით მესამედი) პოზიციის არმქონეთა წილი („არ ვიცი“).
- საქართველოს მთლიან მოსახლეობასა და **ეთნიკურ უმცირესობებს** შორის უთანხმოებაა სანქციების გაგრძელებასთან დაკავშირებით: საქართველოს მოსახლეობის 45%-ზე მეტი მიიჩნევს, რომ ქართული ოცნების მაღალჩინოსნების დასანქცირება უნდა გაგრძელდეს, მაშინ როდესაც **ეთნიკურ უმცირესობებში** დაახლოებით ამდენივე სანქციების გაგრძელებას ეწინააღმდეგება.

საინფორმაციო წყაროები

- საქართველოს მოსახლეობაში გამოიკვეთა საქართველოს სატელევიზიო არხები და სოციალური მედია, საიდანაც რესპონდენტები ინფორმაციას იღებენ ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების შესახებ. **ეთნიკურ უმცირესობებში** ძირითად წყაროდ დასახელდა სოციალური მედია (54%-მდე). აქტუალურია, აგრეთვე, არაფორმალური წყაროები (34%), საქართველოს სატევიზიო არხები (28.6%) და აზერბაიჯანული მედიასაშუალებები (25.2%).
- საქართველოს სატელევიზიო არხებს შორის, საქართველოს მოსახლეობაში ლიდერობენ: იმედი, მთავარი არხი და ტვ პირველი. **ეთნიკურ უმცირესობებში** დაწინაურებულია იმედი და რუსთავი 2.
- სოციალური მედიიდან, როგორც საქართველოს მოსახლეობაში, ისე **ეთნიკურ უმცირესობებში**, უპირობო ლიდერია ფეისბუქი.
- სამოქალაქო საზოგადოებისა და აქტივისტების მხრიდან პირველი არხის ეთერის გახსნაზე არსებული მოთხოვნის შესახებ ინფორმაციას ფლობს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა (70%-ზე მეტი), ხოლო **ეთნიკური უმცირესობიდან** თითქმის ამდენივე - არ ფლობს.
- საზოგადოებრივი მაუწყებლის “საგანგებო ეთერს”, გარკვეული სიხშირით უყურებს საქართველოს მოსახლეობის 40.5% (თუმცა, რეგულარულად - მხოლოდ 6%). **ეთნიკური უმცირესობების** გამოკვეთილი უმრავლესობა (75%-ზე მეტი) “საგანგებო ეთერს” საერთოდ არ უყურებს.

საქართველოს ამომრჩევლების და ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური კუთვნილება

განისაზღვრა **ინდექსური ცვლადები** საქართველოს ამომრჩევლების (მათ შორის, ეთნიკური უმცირესობების) პოლიტიკური კუთვნილების დასადგენად.

ინდექსური ცვლადების განსაზღვრაში მონაწილეობდა **20 ინდიკატორი.**

1. ქვეყნის განვითარების მიმართულების შეფასება
2. ქ/ოცნების ხელისუფლების პირობებში ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობა
3. ირაკლის კობახიძის 28 ნოემბრის განცხადების შეფასება
4. თბილისში და საქართველოს რეგიონებში მიმდინარე პროტესტის მხარდაჭერა
5. ქ/ოცნების მიერ საპროტესტო აქციებთან დაკავშირებით მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების შეფასება
6. ქ/ოცნების მიერ საჯარო მოხელეებთან დაკავშირებით მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების შეფასება
7. "დიფ სთეითის" და გლობალური ომის პარტიის ანტიქართული გავლენების დამაჯერებლობა
8. 26 ოქტომბრის სამარლამენტო არჩევნებში გაკეთებული არჩევანი
9. ქ/ოცნების ხელისუფლების კანონიერების აღიარება
10. ახალი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის მიმართ მხარდაჭერა
11. ახალი არჩევნების შემთხვევაში, პოლიტიკური ძალების მიმართ მხარდაჭერა
12. ქ/ოცნების ხელისუფლებაში არყოფნის შემთხვევაში, რუსეთთან ომში ჩართვის საფრთხის მიმართ დამოკიდებულება
13. ქ/ოცნების ხელისუფლებაში არყოფნის ეფექტი (პოზიტიური ან ნეგატიური)
14. საქართველოს კანონიერი პრეზიდენტად სალომე ზურაბიშვილის ან მიხეილ ყაველაშვილის მიჩნევა
15. ბიძინა ივანიშვილის მიმართ კეთილგანწყობის ხარისხი
16. ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების საქმიანობის შეფასება 26 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ
17. ქ/ოცნების საქმიანობის შეფასება 26 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ
18. ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაწესებული სანქციების შეფასება
19. ქ/ოცნების მაღალჩინოსნების წინააღმდეგ აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაწესებული სანქციების შეფასება
20. ქ/ოცნების მაღალჩინოსნების წინააღმდეგ ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ დაწესებული სანქციების შეფასება

ზემოაღნიშნული ინდიკატორების საფუძველზე განისაზღვრა 3 ჯგუფი და მათი თანაფარდობა:

1. ქ/ოცნების & Co მომხრე (საქართველოს მოსახლეობა-34.1%; ეთნიკური უმცირესობა - 48.0%)
2. ოპოზიციონერი - (საქართველოს მოსახლეობა - 59.7%; ეთნიკური უმცირესობა - 35.8%)
3. გაურკვეველი – (საქართველოს მოსახლეობა-6.2%; ეთნიკური უმცირესობა -16.6%;)

ეთნიკურ უმცირესობებში, საქართველოს მოსახლეობასთან შედარებით, ქ/ოცნების & Co მომხრეთა ჯგუფი უფრო დიდია, ვიდრე ოპოზიციონერთა ჯგუფი. ასევე, ეთნიკურ უმცირესობებში „გაურკვეველთა“ ხვედითი წილი უფრი მაღალია, ვიდრე საქართველოს მოსახლეობაში.

1. ოპოზიციონერთა ჯგუფში მოხვდნენ ისინი, ვინც ზემოაღნიშნული 20 ინდიკატორიდან უმრავლესობაზე სცემს შინაარსობრივად ადეკვატურ პასუხებს, აგრეთვე ისინი, ვინც თავიანთი რელევანტური პასუხების რაოდენობით (განსაკუთრებით, კრიტიკულ ინდიკატორებთან მიმართებით) აღემატებიან ქ/ოცნების & Co მომხრეების პასუხებს;

2. ქ/ოცნების & Co მომხრეების ჯგუფში მოხვდნენ ისინი, ვინც ზემოაღნიშნული 20 ინდიკატორიდან უმრავლესობაზე სცემს შინაარსობრივად ადეკვატურ პასუხებს, აგრეთვე ისინი, ვინც თავიანთი რელევანტური პასუხების რაოდენობით (განსაკუთრებით, კრიტიკულ ინდიკატორებთან მიმართებით) აღემატებიან ოპოზიციონერთა პასუხებს;

3. გაურკვევლების ჯგუფში მოხვდნენ ოპორტუნისტები, რომლებიც არათანმიმდევრულ პასუხებს იძლევიან.

პოლიტიკური კუთვნილება



გარდა ამისა, ქ/ოცნების & Co მომხრეების და ოპოზიციონერების ჯგუფებისთვის განისაზღვრა **გრადაციები:**

- სუსტი
- ზომიერი
- ძლიერი

„ძლიერად“ ჩაითვალნენ ის ამომრჩევლები, რომლებიც 20 ინდიკატორიდან რელევანტურად პასუხობენ უმრავლესობას (>10-ზე);

„ზომიერად“ ჩაითვალნენ ისინი, რომლებიც 20 ინდიკატორიდან რელევანტურად პასუხობენ 5-დან 10 ინდიკატორის ჩათვლით;

„სუსტად“ ჩაითვალნენ ისინი, რომლებიც 20 ინდიკატორიდან რელევანტურად პასუხობენ 5 ინდიკატორზე ნაკლებს;





თუ საქართველოს მოსახლეობაში **ქ/ოცნების & Co მომხრეთა** ჯგუფში უმრავლესობას სუსტი მომხრეები შეადგენენ, **ეთნიკურ უმცირესობებში** ვითარება პირიქითაა: ამ ჯგუფის **უმრავლესობას (58%-მდე) ძლიერი მომხრეები შეადგენენ.**

ამასთან, ეთნიკური უმცირესობების **ოპოზიციურად** განწყობილ ნაწილში, უმრავლესობა (69%-მდე) **სუსტად გამოხატული** ოპოზიციონერია.

პოლიტიკური კუთვნილების მიხედვით დიფერენცირებული ჯგუფები კორელირებს **ასაკთან, საცხოვრებელ ადგილთან და დასაქმების სტატუსთან**. კერძოდ:

ოპოზიციონერთა ჯგუფში, სხვა ჯგუფებთან შედარებით, ყველაზე მაღალია ახალგარდების (18-29 წწ.), თბილისელებისა და კერძო სექტორში დასაქმებულთა წილი.

ქ/ოცნების & Co მომხრეების ჯგუფში, სხვა ჯგუფებთან შედარებით, ყველაზე მაღალია უფროსი ასაკის (55+), სოფლებში მაცხოვრებელთა, აგრეთვე, საჯარო სექტორში დასაქმებულთა, პენსიონერთა, შშმ პირთა და სამუშაო ძალის გარეთ მყოფთა წილი.

გაურკვევლების ჯგუფში, სხვა ჯგუფებთან შედარებით (თუმცა, არაგამოკვეთილად), მაღალია უმუშევართა ხვედრითი წილი.

პოლიტიკური კუთვნილების მიხედვით დიფერენცირებული ჯგუფების დემოგრაფიული პროფილი (N=2000)

(ასაკი, საცხოვრებელი ადგილი, დასაქმების სტატუსი)



ეთნიკურ უმცირესობებში მონაცემები კორელაციაში აღმოჩნდა მხოლოდ ასაკთან.

კერძოდ, ქ/ოცნების & Co მომხრეების ჯგუფში, სხვა ასაკობრივ კატეგორიებთან შედარებით, **ყველაზე დაბალია ახალგაზრდების (18-29 წწ.) წილი**.

პოლიტიკური კუთვნილების მიხედვით დიფერენცირებული ჯგუფების დემოგრაფიული პროფილი ეთნიკურ უმცირესობებში (N=384)

(ასაკი)



საქართველოში არსებული ვითარების ზოგადი შეფასება და ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილება

საქართველოს მოსახლეობაში გამოკვეთილი უმრავლესობა (61.7%) ქვეყნის არასწორი მიმართულების სვლაზე მიუთითებს, ქვეყნის დადებით განვითარებას ჯამში 35%-მდე ადასტურებს.

ეთნიკურ უმცირესობებში დადებითი შეფასებები სჭარბობს. უფრო კონკრეტულად: უმრავლესობა (62.2%) მიუთითებს ქვეყნის **სწორი მიმართულებით** განვითარებაზე, უარყოფით შეფასებას გამოთქვამს გამოკითხულთა მესამედი (33%)



როგორც მოსახლეობაში, ისე **ეთნიკურ უმცირესობებში** ყველაზე მაღალია იმ რესპონდენტების წილი, რომლებიც თვლიან, რომ მათი ოჯახების **ეკონომიკური მდგომარეობა, ბოლო 2 წლის განმავლობაში, არ შეცვლილა** (ეთნიკური უმცირესობა-38.7%; მოსახლეობა-45.2%).

ამასთან, ეკონომიკური მდგომარეობის **გაუარესებაზე** უფრო მეტად მეტად მიუთითებს საქართველოს მოსახლეობა, ვიდრე **ეთნიკური უმცირესობები** (საქართველოს მოსახლეობა-35.1%; ეთნიკური უმცირესობა-21.8%).

შესაბამისად, ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის **გაუმჯობესებაზე ეთნიკური უმცირესობების** 40%-მდე საუბრობს, ხოლო საქართველოს მოსახლეობის 20%-მდე.

თქვენი შეფასებით, რამდენად შეიცვალა თქვენი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა ბოლო 2 წლის (2023-24) განმავლობაში? (N=384)



პოლიტიკური კრიზისი და მისი ინდიკატორები

დღესდღეობით, საქართველოში **პოლიტიკური კრიზისის** არსებობას აღიარებს როგორც საქართველოს მოსახლეობის, ისე **ეთნიკური უმცირესობების უმრავლესობა.**

თუმცა, პოლიტიკური კრიზისზე მითითება **გაცილებით გამოკვეთილია** საქართველოს მოსახლეობაში, **ეთნიკურ უმცირესობებთან** შედარებით (82.1%; ეთნიკური უმცირესობა-54.3%)



როგორც საქართველოს მოსახლეობისთვის, ასევე **ეთნიკური უმცირესობისთვის** პოლიტიკური კრიზისის **ინდიკატორად** მიიჩნევა 3 საერთო ფაქტორი:

1. ერთპარტიული პარლამენტის არსებობა;

2. მასობრივი საპროტესტო გამოსვლები საქართველოში, ახალი არჩევნების დანიშვნის მოთხოვნით;

3. პროტესტის მონაწილეთა ფიზიკური ანგარიშსწორება და უკანონო დაპატიმრებები

თუმცა, **ეთნიკური უმცირესობებისთვის** პოლიტიკურ კრიზისზე ყველაზე მეტად მეტყველებს მასობრივი საპროტესტო გამოსვლები საქართველოში (43.7%), ხოლო საქართველოს მოსახლეობისთვის - ერთპარტიული პარლამენტის არსებობა (38.6%).

თქვენი აზრით, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი გამოხატავს საქართველოში პოლიტიკური კრიზისის არსებობას?



არსებულ პოლიტიკურ კრიზისზე პასუხისმგებელ ძირითად აქტორად, როგორც საქართველოს მოსახლეობაში, ისე **ეთნიკურ უმცირესობებში,** დასახელდა **"ქართული ოცნება"** (საქართველოს მოსახლეობა-78%-მდე; ეთნიკური უმცირესობა-60%-მდე).

სხვა აქტორებს შორის ძირითადად გამოიკვეთა: **ნაციონალური მოძრაობა** (საქართველოს მოსახლეობა-16.0%; ეთნიკური უმცირესობა-13.1%) და **სხვა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები** (ეთნიკური უმცირესობა-16.9%; საქართველოს მოსახლეობა-16.5%)

ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკურ კრიზისზე პასუხისმგებლობას უფრო მეტად აკისრებს საქართველოს მოსახლეობა, ვიდრე **ეთნიკური უმცირესობები** (საქართველოს მოსახლეობა-23.6%; ეთნიკური უმცირესობა-11.6%)



ქვეყნის წინაშე მდგარი მწვავე პრობლემები

ქვეყნის წინაშე მდგარ ყველაზე უფრო მწვავე პრობლემებად, როგორც საქართველოს მოსახლეობაში, ისე **ეთნიკურ უმცირესობებში,** გამოკვეთა სოციალური პრობლემები: **ა) მაღალი ფასები** (ეთნიკური უმცირესობა-59.9%; საქართველოს მოსახლეობა-46.5%) და **ბ) უმუშევრობა** (ეთნიკური უმცირესობა-54.7%; საქართველოს მოსახლეობა- 42.1%).

განსხვავება გამოიხატა პრობლემების სიმწვავის კუთხით, კერძოდ საქართველოს მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანია: ა) ქართველების ემიგრაცია (21%); ბ) ნარკოტიკების გავრცელება/გამოყენება (18%); გ) სიღარიბე (16.4%); დ) უსამართლოდ ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები (15.5%) და ე) კრიმინალი და დაუცველობა (15.4%).

ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებისთვის ძირითადად აქტუალურია: ა)დაბალი ხელფასები (21.2%), ბ) სიღარიბე (21.1%), გ) ქართველების ემიგრაცია (18.6%); დ) დაბალი პენსიები (18.5%).

*** **რუსეთთან ომში ჩართვის საფრთხეზე**, როგორც ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემაზე, მიუთითებს რესპონდენტთა მცირედი ნაწილი (საქართველოს მოსახლეობა- 6.3%; **ეთნიკური უმცირესობები - 3.7%).**

როგორ ფიქრობთ, რომელია სამი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომლებიც, დღესდღეობით, ქვეყნის წინაშე დგას? გთხოვთ, ქვემოთ მოცემული სიიდან ამოირჩიოთ სამი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა



თქვენი აზრით, ქართული ოცნების ხელისუფლების პირობებში რამდენად შესაძლებელია თქვენ მიერ გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრა? (N=2000)



განსხვავებები გამოიკვეთა **ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემები მოგვარების** თვალსაზრისით. საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი (53.3%) თვლის, რომ ქართული ოცნების ხელისუფლებაში ყოფნის პირობებში, ამ პრობლემების მოგვარება **შეუძლებელია** ("სრულიად შეუძლებელი" - 32.4%).

ამის საპირისპიროდ, **ეთნიკური უმცირესობების** უმრავლესობა (56.5%) თვლის, რომ ქართული ოცნების ხელისუფლების პირობებში ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემების მოგარება შესაძლებელია.

„ქართული ოცნების“ საგარეო კურსის შეფასება

ირაკლის კობახიძის მიერ 2024 წლის 28 ნოემბერს გაკეთებული განცხადება **მიუღებლად მიაჩნია** საქართველოს მოსახლეობის გამოკვეთილ უმრავლესობას (67.1%); ხოლო **ეთნიკური უმცირესობების** ჯგუფში - ყოველ მეორეს (50.4%).

თუმცა, მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება („სრულიად მიუღებელია“) უფრო მეტად საქართველოს მოსახლეობაში ვლინდება, **ეთნიკურ უმცირესობებთან** შედარებით (საქართველოს მოსახლეობა-48%; ეთნიკური უმცირესობა-19.9%)

2024 წლის 28 ნოემბერს ირაკლი კობახიძემ ბრიფინგზე განაცხადა, რომ „ქართული ოცნება“ აჩერებს ევროკავშირში გაწევრების მოლაპარაკების პროცესს 4 წლით, 2028 წლის ბოლომდე. რამდენად მისაღებია თქვენთვის ქ/ოცნების ეს გადაწყვეტილება?



გამოვლინდა **საერთო ტენდენცია** საქართველოს მოსახლეობასა და **ეთნიკურ უმცირესობებს** შორის: ორივე ჯგუფში წამყვანია პოზიცია, რომ ქართული ოცნების საგარეო პოლიტიკა **რუსეთის/რუსეთთან დაახლოებული ქვეყნების (ჩინეთი, ირანი და სხვ.) ინტერესების გატარებას ემსახურება** (საქართველოს მოსახლეობა-54.9%; ეთნიკური უმცირესობები-48.2%).

როგორც ქართველების, ასევე ეთნიკური უმცირესობების მცირე ნაწილი (ეთნიკური უმცირესობა- 5.5%; საქართველოს მოსახლეობა-7%) მიუთითებს ქართული ოცნების დასავლურ კურსზე.

როგორ დაახასიათებდით, დღესდღეობით, ქართული ოცნების საგარეო კურსს?



ქ/ოცნების საგარეო კურსის შეფასება პოლიტიკური კუთვნილების მიხედვით



- ✓ **ოპოზიციური განწყობების** მქონე **ეთნიკური უმცირესობების** გამოკვეთილი უმრავლესობა (69.3%) მიუთითებს, რომ ქ/ოცნების საგარეო კურსი პრორუსულია.
- ✓ ხოლო, **ეთნიკურ უმცირესობებს** შორის, **ქ/ოცნების &Co ამომრჩეველთა** უმრავლესობისთვის (53.5%) ქ/ოცნების საგარეო პოლიტიკა დაბალანსებულია.

საქართველოში მიმდინარე პროტესტის მიმართ დამოკიდებულება

საპროტესტო აქციების მიმართ **ლოიალურობას** (ქულები 6-10) გაცილებით გამოხატავს საქართველოს მოსახლეობა (60%-მდე), **ეთნიკურ უმცირესობებთან** შედარებით (42.%). ანალოგიურად, პროტესტის მიმართ **ძლიერი მხარდაჭერა** (ქულები 9 და 10) განსაკუთრებით ვლინდება საქართველოს მოსახლეობაში (45%; ეთნიკური უმცირესობა-22.1%)

შესაბამისად, საპროტესტო აქციების მიმართ **რეზისტენტულობა** (ქულები 0-4) უფრო მაღალია **ეთნიკურ უმცირესობებში** (45.1%; საქართველოს მოსახლეობა-31%).

უკვე ერთ თვეზე მეტია, რაც თბილისში და საქართველოს რეგიონებში მიმდინარეობს უწყვეტი საპროტესტო აქციები 26 ოქტომბრის არჩევნების არასამართლიანად ჩატარების, ევროკავშირში გაწევრების მოლაპარაკებების შეჩერების და მომიტინგეების მასობრივი დაპატიმრების გამო. რამდენად ემხრობით მიმდინარე პროტესტს/აქციებს?



✓ საქართველოს მოსახლეობაში ქ/ოცნების &Co მომხრეების 14%-მდე ლოიალურია პროტესტის მიმართ (ქულები 6-10), ეთნიკურ უმცირესობებში ეს მაჩვენებლი 10%-მდეა.

უკვე ერთ თვეზე მეტია, რაც თბილისში და საქართველოს რეგიონებში მიმდინარეობს უწყვეტი საპროტესტო აქციები 26 ოქტომბრის არჩევნების არასამართლიანად ჩატარების, ევროკავშირში გაწევრების მოლაპარაკებების შეჩერების და მომიტინგეების მასობრივი დაპატიმრების გამო. რამდენად ემხრობით მიმდინარე პროტესტს/აქციებს?





პროტესტის **ალტერნატიულ ფორმებს** შორის, როგორც საქართველოს მოსახლეობაში, ისე **ეთნიკურ უმცირესობებში** მისაღებია (MEAN >3-ზე) აღმოჩნდა:

- ✓ მარშები
- ✓ გაფიცვა
- ✓ „სირცხვილის კორიდორების“ მოწყობა

პროტესტის ყველაზე **მიუღებელ ფორმად** საქართველოს მოსახლეობაში მიიჩნევა თვითდაზიანება (შიმშილობა, პირის ამოკერვა და სხვ.), ხოლო **ეთნიკურ უმცირესობებში** ზემოაღნიშნულთან ერთად თანაბრად მიუღებელია რევოლუცია/აჯანყება

რამდენად მისაღებია თქვენთვის პროტესტის ქვემოთ ჩამოთვლილი ფორმების გამოყენება პოლიტიკური მიზნების მისაღწევად?
(საშუალო მაჩვენებლები 5 ქულიან სკალაზე – 1 “სრულიად მიუღებელია“, ხოლო 5 –"სრულიად მისაღები) **(N=2000)**

ეთნიკური უმცირესობები (N=384)



საქართველოს მოსახლეობასთან შედარებით, **ეთნიკური უმცირესობები გაცილებით ნაკლებად ინფორმირებულნი არიან** ბოლო ხანს მიღებულ საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ, რომლებიც მიმართულია პროტესტის გამოხატვის წინააღმდეგ (ინფორმირებულია საქართველოს მოსახლეობის 79.1%, ხოლო არ არის ინფორმირებული ეთნიკური უმცირესობების 55.2%).

საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა (55%) **მიუღებლად** მიიჩნევს პროტესტის გამოხატვისთვის დაწესებულ შეზღუდვებს და მიაჩნია, რომ ეს არის უკან გადადგმული ნაბიჯი დემოკრატიის გზაზე.

ამისაგან განსხვავებით, **ეთნიკური უმცირესობების** დამოკიდებულება **ამბივალენტურია** (მისაღებია-34.6%; მიუღებელია-34.1%). ამასთან, **ეთნიკური უმცირესობების** თითქმის მესამედს გაუჭირდა პოზიციის დაფიქსირება (31.2%; საქართველოს მოსახლეობა-13.5%).

2024 წლის 13 დეკემბერს "ქართულმა ოცნებამ" მიიღო საკანონმდებლო ცვლილებები, რომელთა თანახმად, მოქალაქეების დაკავება წინასწარი ეჭვის საფუძველზეა შესაძლებელი, წესდება მაღალი ჯარიმები პროტესტის გამოხატვისთვის, იკრძალება ნიღბებისა და ლაზერების გამოყენება და სხვ. გსმენიათ თუ არა ამ ცვლილებების შესახებ?





როგორ შეაფასებდით აღნიშნულ საკანონმდებლო ცვლილებებს?



საქართველოს მოსახლეობასა და **ეთნიკურ უმცირესობებს** შორის **დიამეტრალური განსხვავებაა საჯარო მოხელეების დასაქმების რეგულირების კუთხით განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებთან** მიმართებით. კერძოდ **ინფორმაციას ფლობს ეთნიკური უმცირესობების** მხოლოდ 35.7%, ხოლო საქართველოს მოსახლეობაში ეს მაჩვენებელი თითქმის 2-ჯერ მაღალია (67%-მდე)

გსმენიათ თუ არა იმის შესახებ, რომ "ქართულმა ოცნებამ" დაჩქარებული წესით დაამტკიცა საკანონმდებლო ცვლილებები, რომელთა მიხედვითაც, კრიტიკული შეხედულებების/ პროტესტის თანაგრძნობის გამო, საჯარო მოხელეების სამსახურიდან გათავისუფლება იოლდება, სამსახურში აღდგენა შეუძლებელი ხდება, თუნდაც სასამართლომ უკანონოდ გათავისუფლება დაადასტუროს და ა.შ.?





ორივე ჯგუფისთვის უფრო **მიუღებელია** საჯარო მოხელეებზე ზემოქმედების ბერკეტების გაზრდა, მაგრამ ეს ტენდენცია გაცილებით უფრო გამოკვეთილია საქართველოს მოსახლეობაში (59.4%), **ეთნიკურ უმცირესობებთან** შედარებით (38.6%).

როგორ შეაფასებდით აღნიშნულ საკანონმდებლო ცვლილებებს?



„დიფ სთეითის“ და „გლობალური ომის პარტიის“ ანტიქართული გავლენის შეფასება

„დიფ-სთეითის“ და გლობალური ომის პარტიის ანტიქართული გავლენების შესახებ ქართული ოცნების რიტორიკას გაცილებით არადამაჯერებლად მიიჩნევს საქართველოს მოსახლეობა (54.2%), ვიდრე **ეთნიკური უმცირესობები** (36.3%).

ეთნიკური უმცირესობების თითქმის ნახევარი (47%) ამ მიმართულებით საკუთარ პოზიციას ვერ/არ აფიქსირებს.

- ✓ საქართველოს მოსახლეობაში ქ/ცნების &Co მომხრეების დაახლოებით მეოთხედისთვის (23.3%) არ არის დამაჯერებელი „დიფ-სთეითის“ და გლობალური ომის პარტიის ანტიქართული გავლენები, ხოლო ამ ჯგუფში ყოველ მესამეს (33.3%) გაუჭირდა პოზიციის გამოხატვა.
- ✓ ქ/ოცნების &Co მომხრეების ჯგუფში, **ეთნიკური უმცირესობების** ნახევარზე მეტს (53.2%) არ აქვს გამოკვეთილი პოზიცია, ხოლო დამაჯერებლად მიიჩნევს მეოთხედზე მეტი (27.9%).

ქართული ოცნების პოლიტიკური საბჭო აცხადებს, რომ „უკლებლივ ყველა კონკრეტული პოლიტიკოსი და ბიუროკრატი, რომელიც ანტიქართული განცხადებებით გამოირჩევა, იქნება ეს პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, პარლამენტარი, ევროპარლამენტარი, დიპლომატი თუ ჩინოვნიკი, არის „დიფ სთეითის“ ქსელის წევრი, რომელიც გლობალური ომის პარტიის კარნახით მოქმედებს”.

რამდენად დამაჯერებელია თქვენთვის "დიფ სთეითის" და გლობალური ომის პარტიის ანტიქართული გავლენები?







საერთაშორისო სტრუქტურებში საქართველოს გაწევრების მხარდაჭერა

- **ევროკავშირში** საქართველოს გაწევრებას მხარს უჭერს როგორც საქართველოს მოსახლეობის, ისე **ეთნიკური უმცირესობების** უმრავლესობა (საქართველოს მოსახლეობა- 86.3%, ეთნიკური უმცირესობა-60.8%). თუმცა, საქართველოს მოსახლეობაში მხარდაჭერა გაცილებით გამოკვეთილია.
- **ნატოში გაწევრების** მიმართ ვითარება პრინციპულად იივლება: საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა (74.2%) **ნატოში** გაწევრებას მხარს უჭერს, მაშინ როდესაც **ეთნიკური უმცირესობებში** მხარდაჭერას დაახლოებით მესამედი (32%-მდე) გამოხატავს, ხოლო უფრო დიდი ნაწილი (47%) ამის წინააღმდეგია.
- **ოდკბ-**ში საქართველოს გაერთიანებას გაცილებით უფრო ემხრობიან **ეთნიკური უმცირესობები** (საქართველოს მოსახლეობა-14%; ეთნიკური უმცირესობები-34.9%).
- ორივე შემთხვევაში რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (საქართველოს მოსახლეობა-53%; **ეთნიკური უმცირესობები**-56%) მომხრეა იმის, რომ საქართველო არცერთ პოლიტიკურ/სამხედრო საერთაშორისო სტრუქტურაში არ გაერთიანდეს და ჰქონდეს **ნეიტრალიტეტი** (სრული მხარდამჭერია დაახლოებით 30%-30%-ია).

რას ფიქრობთ საერთაშორისო სტრუქტურებში საქართველოს გაერთიანების შესახებ? *(% და საშუალო მაჩვენებლები*
4 ქულიანი სკალაზე – *1 "საერთოდ არ ვუჭერ მხარს ", ხოლო 4 –"სრულად ვუჭერ მხარს")*





საქართველოს მოსახლეობის 80% **ინფორმირებულია** იმის შესახებ, რომ აშშ-მა შეაჩერა საქართველოსთან სტრატეგიული პარტნიორობა. **ეთნიკურ უმცირესობებში** თითქმის თანაბარია ინფორმირებული (50.8%) და არაინფორმირებული (48.2%) პირების წილი.



საქართველოს მოსახლეობასთან შედარებით (67%-მდე), **ეთნიკური უმცირესობებში** გაცილებით ნაკლებია იმათი წილი (42.5%), ვინც აშშ-თან სტრატეგიული ურთიერთობის გაწყვეტას **უარყოფითად აფასებს.** ამავდროულად, **ეთნიკურ უმცირესობებში** მაღალია **ნეიტრალურად განწყობილთა** წილი (30.6%).

აშშ-თან სტრატეგიული ურთიერთობის გაწყვეტას ორივე ჯგუფში რესპონდენტთა მხოლოდ დაახლოებით 8%-8% იწონებს.



საქართველოსა და ჩინეთს შორის პარტნიორობის გაღრმავებას (აშშ-თან შეჩერებული სტრატეგიული პარტნიორობის ფონზე) **უარყოფითად** აფასებს საქართველოს მოსახლეობის გაცილებით დიდი ნაწილი (44.2%), **ეთნიკურ უმცირესობებთან** შედარებით (21.1%), ხოლო **დადებითად** ორივე ჯგუფში - დაახლოებით მეხუთედი (საქართველოს მოსახლეობა - 21.7%; **ეთნიკური უმცირეობები** -19.5%).

ეთნიკური უმცირესობებიდან ყოველი მესამე (33.2%) ნეიტრალურადაა განწყობილი („არც დადებითად, არც უარყოფითად“), მეოთხედს (25.0%) კი არ აქვს გამოკვეთილი პოზიცია.

როგორ შეაფასებდით საქართველოსა და ჩინეთს შორის პარტნიორობის გაღრმავებას, აშშ-თან შეჩერებული სტრატეგიული პარტნიორობის პირობებში? (N=2000)



26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შეფასება

როგორც საქართველოს მოსახლეობის, ისე **ეთნიკური უმცირესობების** უმრავლესობა (საქართველოს მოსახლეობა-84%; ეთნიკური უმცირესობები-72.9%) აცხადებს, რომ **მონაწილეობა მიიღო** 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში.

არჩევნებში არმონაწილეობის ძირითად მიზეზად საქართველოს მოსახლეობაში დასახელდა **რეგისტრაციის ადგილზე ვერჩასვლა**. **ეთნიკური უმცირესობისთვის** მთავარ მიზეზად დასახელდა **საქართველოში არ ყოფნა.**

*** **შენიშვნა:** ცესკოს მონაცემებით, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 59%-მა (2 077 260 ამომრჩეველი). თუმცა, ეს წილი დათვლილია ამომრჩეველთა იმ საერთო რაოდენობიდან (3 495 789), რომელიც არ ემთხვევა სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებს (2 852 881). ამ მონაცემებს თუ გავითვალისწინებთ, არჩევნებში მონაწილეთა წილი გახდება 73%. ხოლო, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საქართველოდან მინიმუმ 350 000 ამომრჩეველი დროებით ან მუდმივ ემიგრაციაშია, არჩევნებში მონაწილეთა წილი 83% მაინც გამოდის.

მიიღეთ თუ არა მონაწილეობა 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში?





რა იყოს იმის მიზეზი, რომ 26 ოქტომბრის არჩევნებში არ მიიღეთ მონაწილეობა?



26 ოქტომბრის არჩევნების სამართლიანად ჩატარების თვალსაზრისით, ერთმანეთისაგან განსხვავდება საქართველოს მოსახლეობისა და **ეთნიკური უმცირესობების** პოზიციები: არჩევნების **უსამართლოდ** ჩატარებაზე მიუთითებს საქართველოს მოსახლეობის 43%, მაშინ როდესაც **ეთნიკურ უმცირესობებში** ასეთი პოზიცია აქვს 20%-ს.

შესაბამისად, **ეთნიკურ უმცირესობებში** შედარებით მაღალია იმ რესპონდენტთა წილი, რომლებიც **არჩევნებს სამართლიანად ჩატარებულად თვლიან** (41.4%; საქართველოს მოსახლეობაშია ასეთია 33.1%).



✓ საქართველოს მოსახლეობაში **ოპოზიციურად განწყობილ** რესპონდენტთა დაახლოებით მეოთხედი (23%-მდე) არ თვლის, რომ 26 ოქტომბრის არჩევნები უსამართლოდ ჩატარდა. **ეთნიკურ უმცირესობებში** ეს მაჩვენებელი გაცილებით დაბალია (7.1%).





საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი (51.3%) აცხადებს, რომ არჩევნებში ხმა **ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალას** მისცა.

პირიქით, **ეთნიკური უმცირესობების** უმრავლესობა (54.3%) მიუთითებს **ქ/ოცნებისთვის** ხმის მიცემაზე (საქართველოს მოსახლეობაში ქართულ ოცნებისთვის ხმის მიცემას ადასტურებს 32%).

ორივე შემთხვევაში რესპონდენტთა დაახლოებით მეხუთედმა შეკითხვას პასუხი არ გასცა.



იმ ფაქტორებს შორის, რომლებმაც **გავლენა იქონია რესპონდენტებზე, ხმა მიეცათ რომელიმე პოლიტიკური ძალისთვის** საქართველოს მოსახლეობაში გამოიკვეთა ორი:

- ხელისუფლების (ქ/ოცნების ცვლილების აუცილებლობა) - 36%
- სიღარიბის დაძლევა/ეკონომიკური პრობლემების მოგვარება (36.3%)

ანგარიშგასაწევ ფაქტორებს შორის დასახელდა, აგრეთვე, ქვეყნის დასავლური ორიენტაციის შენარჩუნებს (25.8%) და რუსეთთან ომის საფრთხის თავიდან აცილება (25.5%).

ეთნიკურ უმცირესობებში ხმის მიცემის მოტივატირად სოციალური ფაქტორების ტოლძალოვნად სახელდება **რუსეთთან ომის საფრთხის თავიდან აცილება.** უფრო კონკრეტულად, გავლენიანი ფაქტორების წილი ასეთია:

- რუსეთთან ომის საფრთხის თავიდან აცილება-40.5%
- სიღარიბის დაძლევა/ეკონომიკური პრობლემების მოგვარება- 40.1%
- უმუშევრობის დაძლევა- 25.9%

ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორებიდან, რომელმა იქონია გავლენა თქვენზე, რომ ხმა მიგეცათ თქვენ მიერ არჩეული პოლიტიკური ძალისთვის? (N=1658)



იმ მექანიზმებს შორის, რომლებმაც **უარყოფითი გავლენა იქონია არჩევნების სამართლიანობაზე,** საქართველოს მოსახლეობისთვის და **ეთნიკური უმცირესობებისთვის** საერთო კრიტიკული საკითხია **ამომრჩევლების მოსყიდვა და დაშინება და უბნებზე ხელისუფლების მხარდამჭერი კოორდინატორების მობილიზება** თუმცა, გამოვლინდა განსხვავებული ტენდენცია:

- საქართველოს მოსახლეობა გამოკვეთს საარჩევნო უბნებზე კრიმინალური პირების მობილიზებისა და ამომრჩევლებზე ფსიქოლოგიური კონტროლის მნიშვნელობას
- **ეთნიკურ უმცირესობებში** დამატებით ნეგატიურ ფაქტორად სახელდება **იმ პირების პირადობის მოწმობების გამოყენება, რომლებმაც არ/ვერ მისცეს ხმა.**
- ამასთან, ეთნიკური უმცირესობების თითქმის მეოთხედი (22.9%) არცერთ მექანიზმს არ მიიჩნევს უარყოფითი გავლენის მქონედ





თქვენი აზრით, “ქართული ოცნების” ხელისუფლება დღეს ..

საქართველოს მოსახლეობა (N=2000)



ეთნიკური უმცირესობები (N=384)



გამოიკვეთა განსხვავება იმასთან დაკავშირებით, **თუ რამდენად კანონიერია/ლეგიტიმურია ქ/ოცნება დღეს.**

- **ეთნიკური უმცირესობების** წარმომადგენლების ნახევარზე მეტი (52%-მდე) ქართული ოცნების ყოფნას ხელისუფლებაში **ლეგიტიმურად** მიიჩნევს (საქართველოს მოსახლეობაში ასე ფიქრობს 39.2%).

- პირიქით, საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 48% ქ/ოცნებას არალეგიტიმურ ხელისუფლებად მიიჩნევს, მაშინ როდესაც **ეთნიკურ უმცირესობებში** ასე ფიქრობს 23%-მდე.

ახალი საპარლამენტო არჩევნების მიმართ დამოკიდებულება

საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას (96%), ხოლო **ეთნიკური უმცირესობების** გამოკვეთილ უმრავლესობას (78.4) **სმენია** საქართველოში მიმდინარე პროტესტების მხარდამჭერი მოქალაქეების მოთხოვნების შესახებ: ა) "დაინიშნოს ახალი, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები" და ბ) "განთავისუფლდნენ რეჟიმის პატიმრები"

ახალი არჩევნების დანიშვნას ეთანხმება საქართველოს მოსახლეობის **უმრავლესობა** (62%), ხოლო **ეთნიკური უმცირესობების 36.7%;** აღნიშნულს **არ ეთანხმება ეთნიკური უმცირესობების** ნახევარზე მეტი (51.4%), რაც მნიშვნელოვნად აღემატება საქართველოს მოსახლეობაში ანალოგიური პოზიციის მქონეთა წილს (34.2%).

რესპონდენტთა (მათ შორის, **ეთნიკური უმცირესობების**) მხარდაჭერა **გაცილებით მაღალია** საპროტესტო გამოსვლების მეორე მოთხოვნის მიმართ, რასაც მხარს უფრო მეტად უჭერს საქართველოს მოსახლეობა (76.3%; ეთნიკური უმცირესობა-57.6%).

გსმენიათ თუ არა საქართველოში მიმდინარე პროტესტების მხარდამჭერი/მონაწილე მოქალაქეების მოთხოვნების შესახებ: ა) "დაინიშნოს ახალი, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები" და ბ) "განთავისუფლდნენ რეჟიმის პატიმრები"?



რამდენად ეთანხმებით საქართველოში მიმდინარე პროტესტების მხარდამჭერი/ მონაწილე მოქალაქეების მოთხოვნებს? (N=2000)



რამდენად ეთანხმებით საქართველოში მიმდინარე პროტესტების მხარდამჭერი/ მონაწილე მოქალაქეების მოთხოვნებს? (N=384)



საქართველოს მოსახლეობის ის ნაწილი, ვინც ელოდება, რომ **ახალი საპარლამენტო არჩევნები** დაინიშნება (38.9%) უფრო ნაკლებია იმ ნაწილთან შედარებით, ვისაც ასეთი მოლოდინი არ აქვს (51.6%). აღნიშნული კიდევ უფრო მეტად თვალსაჩინოა **ეთნიკურ უმცირესობებში** (არჩევნები დაინიშნება-18.8%; არ დაინიშნება-69.5%).

ოპოზიციონერთა ჯგუფში ახალი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის მოლოდინი არქონა უფრო მეტად გამოკვეთილია **ეთნიკურ უმცირესობებში** (46.9%), საქართველოს მოსახლეობასთან შედარებით (30.2%), ხოლო **ეთნიკური უმცირესობების** დაახლოებით მეათედს უჭირს საკუთარი მოლოდინის ამ მიმართულებით განსაზღვრა.

როგორია თქვენი მოლოდინი ახალი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნასთან დაკავშირებით?



საქართველოს მოსახლეობა (N=2000)



ეთნიკური უმცირესობები (N=384)



ახალი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის შემთხვევაში, საქართველოს მოსახლეობის გამოკვეთილ უმრავლესობას (75.2%) აქვს მონაწილეობის **მაღალი მზაობა** (ქულები 9 და 10). ამავე დამოკიდებულებას გამოხატავს **ეთნიკური უმცირესობების** წარმომადგენლების ნახევარზე მეტი (56.8%).

ახალი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის შემთხვევაში**, ქ/ოცნებისთვის ხმის მიცემას აპირებს საქართველოს ამომრჩეველთა** მეოთხედი (25.1%). **პოლიტიკურ ოპოზიციას** ხმას მისცემდა თითქმის 51%.დაახლოებით მეოთხედი (24%) თავის პოზიციას **ვერ/არ გამოხატავს**

ეთნიკურ უმცირესობებში საპირისპირო ვითარებაა: ქ/ოცნებისთვის ხმის მიცემისკენ არის მიდრეკილი 40%-მდე, ხოლო ოპოზიციურ ძალებს ხმას მისცემდა მეოთხედი (25.4%).

იმ შემთხვევაში, თუ ახალი საპარლამენტო არჩევნები დაინიშნება, რამდენად მოსალოდნელია, რომ მიიღოთ მონაწილეობა?



იმ შემთხვევაში, თუ ახალი საპარლამენტო არჩევნები დაინიშნება, ხმას მისცემთ ქართულ ოცნებას თუ მის ოპოზიციას?



ეთნიკურ უცირესობებში ოპოზიციური პარტიებიდან ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს პოლიტიკურ ძალას "ერთიანობა - ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" - 10.7% (ალოკაციით 19.9%). შემდეგ მოდის „კოალიცია ცვლილებებისთვის". **საქართველოს მოსახლეობაშიც, ოპოზიციური პარტიებიდან**, ეს ორი პოლიტიკური ძალაა ყველაზე მეტად მხარდაჭერილი, თუმცა შებრუნებული რიგითობით.

თუ **ალოკაციით** გამოთვლილ რეიტინგებს შევადარებთ, **ქ/ოცნებას** გაცილებით მაღალი რეიტინგი აქვს **ეთნიკურ უმცირესობებში** (57.5%), ვიდრე **საქართველოს მოსახლეობაში** (31.5%).

ამ შაბათს რომ იმართებოდეს ახალი საპარლამენტო არჩევნები, რომელ პარტიას მისცემდით ხმას, შემდეგი არჩევანი რომ გქონდეთ?

საქართველოს მოსახლეობა (N=1912)



ეთნიკური უმცირესობები (N=384)



საქართველოს მოსახლეობაში ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების რეიტინგები მცირედით იმატებს, შესაბამისად, ქ/ოცნების რეიტინგი მცირედით იკლებს იმ შემთხვევაში, თუ რეიტინგი გავზომავთ იმ ამომრჩევლებს შორის, **ვისაც მაღალი მოტივაცია აქვს ახალ არჩევნებში მონაწილეობის (ქულები 9 და 10).**

ეთნიკურ უმცირესობებში ქ/ოცნების და ოპოზიციური ძალების რეიტინგები თითქმის არ იცვლება.

ახლა უფრო დაწვრილებით გკითხავთ, ამ შაბათს რომ იმართებოდეს ახალი საპარლამენტო არჩევნები, რომელ პარტიას მისცემდით ხმას, შემდეგი არჩევანი რომ გქონდეთ?
(რეიტინგები ალოკაციით იმათგან, ვისაც არჩევნებში მონაწილეობის მაღალი მოტივაცია აქვს - ქულები 9 და 10)



ახალი არჩევნების შემთხვევაში:

- ✓ **ქართული ოცნების ერთპიროვნულად დარჩენას ხელისუფლებაში** უფრო მეტად **ეთნიკური უმცირესობები** პროგნოზირებენ (36.3%; საქართველოს მოსახლეობა-27.8%)
- ✓ საქართველოს მოსახლეობაში უფრო მეტია იმათი წილი, ვინც პროგნოზირებს ქ/ოცნების **კოალიციურ ხელისუფლებაში** ყოფნას (22.4%; **ეთნიკური უმცირესობები** - 14.8%) ან ხელისუფლებაში ახალი ძალების მოსვლას (29.8%; **ეთნიკური უმცირესობები** - 17.2%).

იმ შემთხვევაში, თუ ამ შაბათს ახალი საპარლამენტო არჩევნები დაინიშნება, ქართული ოცნება ერთპიროვნულად დარჩება ხელისუფლებაში, იქნება კოალიციურ ხელისუფლებაში სხვა ძალასთან/ძალებთან ერთად, თუ ხელისუფლებაში მოვა ახალი პოლიტიკური ძალა/ძალები?



საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა (55%-მდე) **არ იზიარებს** მოსაზრებას, რომ თუ ქართული ოცნება ხელისუფლებაში არ დარჩება, გაიზრდება საქართველოს რუსეთთან ომში ჩართვის საფრთხე (ამ პერსპექტივას კატეგორიულად არ იზიარებს მესამედი - 33.5%).

ეთნიკურ უმცირესობებში არ შეინიშნება მკვეთრი განსხვავებები პოზიციებს შორის, თუმცა, რამდენადმე უფრო მეტი არ ეთანხმება აღნიშნულ მოსაზრებას (43.6%), ვიდრე ეთანხმება (38%).

რამდენად ეთანხმებით მოსაზრებას, რომ თუ ქ/ოცნება არ დარჩება ხელისუფლებაში, გაიზრდება საქართველოს რუსეთთან ომში ჩართვის საფრთხე?



საქართველოს მოსახლეობაში რესპონდენტთა ის ნაწილი, ვინც ფიქრობს, რომ **ქართული ოცნების ხელისუფლებაში არყოფნა ქვეყნის მდგომარეობას გააუმჯობესებს და ქვეყანას წინ წაიყვანს** (45%-მდე), გაცილებით აღემატება იმ ნაწილს, ვინც ფიქრობს, რომ ქართული ოცნების ხელისუფლებიდან წასვლა ქვეყნის უკუსვლას გამოიწვევს (25%-მდე).

ეთნიკურ უმცირესობებში ამ მაჩვენებლებს შორის არ იკვეთება მკვეთრი განსხვავება, თუმცა მცირედით მეტია მათი რიცხვი, ვინც ფიქრობს, რომ ქ/ოცნების წასვლით მდგომარეობა გაუარესდება (მოხდება ქვეყნის უკუსვლა - 26.8%; მოხდება ქვეყნის წინსვლა - 23.5%).



რამდენად გაქვთ იმის მოლოდინი, რომ ახალი საპარლამენტო არჩევნები სამართლიანად ჩატარდება?

საქართველოს მოსახლეობაში ახალი არჩევნების **სამართლიანად ჩატარების მოლოდინი** აქვს უმრავლესობას (62%-მდე). თუმცა, მყარ მოლოდინზე მხოლოდ დაახლოებით მეხუთედი (18.1%) მიუთითებს. დაახლოებით ყოველი მეოთხე (23.2%) **სკეპტიკურადაა** განწყობილი.

ეთნიკურ უმცირესობებშიც, საქართველოს მოსახლეობის მსგავსად, იკვეთება **ახალი არჩევნების სამართლიანად ჩატარების მოლოდინი** (58.4%).



ახალი არჩევნების დანიშვნის შემთხვევაში, ოპოზიციური ძალების შესაძლო კონფიგურაციებიდან საქართველოს მოსახლეობა **უფრო მეტად მხარს უჭერს** ორ ვარიანტს:

ა) ყველა ოპოზიციური ძალის გაერთიანებას და ერთიანი სიით გასვლას (31.2%)

ბ) იმავე კონფიგურაციას, რაც 26 ოქტომბრის არჩევნების შემთხვევაში (27.1%).

ეთნიკურ უმცირესობებში უფრო მეტად მხარდაჭერილია ოპოზიციური ძალების იმავე კონფიგურაციის შენარჩუნება, რაც 26 ოქტომბრის არჩევნებში (31%); მომდევნო პრიორიტეტია ერთიანი სიით გასვლა (26.1%).

როგორც საქართველოს მოსახლეობაში, ისე **ეთნიკურ უმცირესობებში**, ყველაზე ნაკლები მხარდაჭერა აქვს ყველა ოპოზიციური ძალის ცალ-ცალკე მონაწილეობას (5%-5%).

ოპოზიციური პოლიტიკური ძალების რომელ კონფიგურაციას დაუჭერდით მხარს ახალი საპარლამენტო არჩევნები რომ დაინიშნოს?



ვინ არის საქართველოს კანონიერი პრეზიდენტი?

საქართველოს მოსახლეობაში რესპონდენტთა მოსაზრებები **გაიყო** იმასთან დაკავშირებით, თუ **ვინაა საქართველოს კანონიერი პრეზიდენტი:** მცირე უპირატესობა აქვს იმ ნაწილს, ვინც ასეთად სალომე ზურაბიშვილს თვლის (40.1%); მეორე მხრივ, მიხეილ ყაველაშვილს საქართველოს პრეზიდენტად მიიჩნევს დაახლოებით 38%.

ეთნიკურ უმცირესობებში კანონიერ პრეზიდენტად უფრო მეტად **მიხეილ ყაველაშვილს** მიიჩნევენ (38.7%; სალომე ზურაბიშვლი-25.2%).



პოლიტიკოსების მიმართ კეთილგანწყობა

რამდენად კეთილგანწყობილი ხართ შემდეგი პოლიტიკოსის მიმართ?
(საშუალოო მაჩვენებლები 5 ქულიან სკალაზე: 1 – "ძალიან არაკეთილგანწყობილი" და 5 – "ძალიან კეთილგანწყობილი") **(N=2000)**

პოლიტიკოსების მიმართ კეთილგანწყობის თვალსაზრისით, **საქართველოს მოსახლეობაში დადებითი მაჩვენებლები** აქვს (MEAN>3-ზე) აქვს მხოლოდ **სალომე ზურაბიშვილს**. კეთილგანწყობის ნეიტრალურ პუნქტთან ძალზე ახლოსაა გიორგი მარგველაშვილი.

ეთნიკურ უმცირესობებში კეთილგანწყობის **დადებითი მაჩვენებლები** (MEAN>3-ზე) ძირითადად აქვთ ქართული ოცნების წარმომადგენლებს: **ირაკლი ღარიბაშვილს, ირაკლი კობახიძეს, კახა კალაძეს, ბიძინა ივანიშვილს, შალვა პაპუაშვილს** და **მიხეილ ყაველაშვილს**)

ოპოზიციური ლიდერებიდან დადებითი მაჩვენებლები გამოვლინდა მხოლოდ ორი პოლიტიკოსის - **მიხეილ სააკაშვილის და სალომე ზურაბიშვილის** - მიმართ.





საქართველოს მოსახლეობის ოპოზიციონერ ამომრჩეველთა ჯგუფში **კეთილგანწყობის ყველაზე დადებითი მაჩვენებლები** აქვს (MEAN>3): სალომე ზურაბიშვილს, ანა დოლიძეს, გიორგი მარგველაშვილს, ნიკა მელიას, გიორგი გახარიას და ა.შ.

ეთნიკურ უმცირესობებში, ოპოზიციონერთა შორის, ყველაზე დიდი მხარდაჭერა აქვს: მიხეილ სააკაშვილს, სალომე ზურაბიშვილს, თინა ბოკუჩავას, ნიკა მელიას, გიორგი მარგველაშვილს.

რამდენად კეთილგანწყობილი ხართ შემდეგი პოლიტიკოსის მიმართ? (საშუალოო მაჩვენებლები 5 ქულიან სკალაზე: 1 – "ძალიან არაკეთილგანწყობილი" და 5 – "ძალიან კეთილგანწყობილი") (N=2000)



რამდენად კეთილგანწყობილი ხართ შემდეგი პოლიტიკოსის მიმართ? (საშუალოო მაჩვენებლები 5 ქულიან სკალაზე: 1 – "ძალიან არაკეთილგანწყობილი" და 5 – "ძალიან კეთილგანწყობილი") (N=384)



ჩამოთვლილი პოლიტიკოსებიდან, ვინ არის თქვენთვის ყველაზე მისაღები 2 პოლიტიკოსი, რომლებსაც შეუძლიათ გახდნენ წამყვანი ლიდერები ოპოზიციურ ფლანგზე?

საქართველოს მოსახლეობაში **ოპოზიციურ პოლიტიკურ ფლანგზე წამყვან პოლიტიკოსებად** რესპონდენტები ასახელებენ:

- ✓ სალომე ზურაბიშვილს
- ✓ გიორგი გახარიას
- ✓ ნიკა მელიას და ა.შ.

ეთნიკურმა უმცირესობებმა ყველაზე მისაღებ პოლიტიკოსებად ოპოზიციურ ფლანგზე დაასახელეს:

- ✓ მიხეილ სააკაშვილი
- ✓ სალომე ზურაბიშვილი და ა.შ.





ბოლო თვეებში სხვადასხვა აქტორის საქმიანობის/მოვლენის შეფასებისას, ყველაზე დადებითი დამოკიდებულება (MEAN>3-ზე) ვლინდება **სალომე ზურაბიშვილის** საქმიანობის მიმართ როგორც **საქართველოს მოსახლეობაში** (MEAN=3.27), ისე **ეთნიკურ უმცირესობებში** (MEAN= 3.02).

საქართველოს მოსახლეობაში დადებითია, აგრეთვე, **არასამთავრობო ორგანიზაციების** საქმიანობის მიმართ დამოკიდებულებაც, თუმცა, შეფასების სკალაზე მაჩვენებელი ნეიტრალურ პუნქტთან ძალზე ახლოსაა (MEAN = 3.02). ყველაზე **ნეგატიური შეფასება** დაიმსახურა (MEAN = 2.26) მიხეილ ყაველაშვილის არჩევამ საქართველოს პრეზიდენტად.

ეთნიკურ უმცირესობებში უარყოფითი დამოკიდებულება ვლინდება ყველა სხვა ჩამოთვლილი აქტორის/მოვლენის მიმართ; თუმცა, განსაკუთრებით ნეგატიურად ფასდება **ოპოზიციური პარტიების** საქმიანობა (MEAN=2.73)

როგორ შეაფასებდით ბოლო თვეებში...

(საშუალო მაჩვენებლები 5 ქულიან სკალაზე, რომელზეც 1 ნიშნავს "ძალზე უარყოფითად" და 5–"ძალზე დადებითად")



სანქციების მიმართ დამოკიდებულება

რესპონდენტთა დიდ უმრავლესობას (86.5%) **სმენია** აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ **ბიძინა ივანიშვილისთვის დაწესებული სანქციების** შესახებ. **ეთნიკურ უმცირესობებში** თითქმის არ არის სხვაობა ინფორმაციის მქონე (48.8%) და არ მქონე პირებს შორის (46.6%).

საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი (52%-მდე) ივანიშვილის მიმართ დაწესებულ სანქციებს **სამართლიანად** მიიჩნევს. სანქციები უსამართლოდ მიაჩნია მესამედს (33.8%).

ეთნიკური უმცირესობებში პოზიციები გაყოფილია: 30% მიიჩნევს ბიძინა ივანიშვილისთვის დაწესებულ სანქციებს სამართლიანად, ხოლო მეორე, რამდენადმე უფრო დიდი, ნაწილი (37.6%) - უსამართლოდ. მაღალია პოზიციის არმქონე რესპონდენტთა წილი (31.9%).

2024 წლის 27 დეკემბერს, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა სანქციები დაუწესა ბიძინა ივანიშვილსსანქციების მიხედვით, ივანიშვილის მთელი ქონება, რომელიც განთავსებულია აშშ-ში, დაიბლოკება (ანუ გაიყინება). გსმენიათ თუ არა ამის შესახებ?



რამდენად სამართლიანად მიგაჩნიათ ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაწესებული სანქციები?



საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა (53%-მდე) თვლის, რომ აშშ-ის მიერ დაწესებული სანქციები ბიძინა ივანიშვილს **ასუსტებს.**

ეთნიკურ უმცირესობებში ასე ფიქრობს დაახლოებით მესამედი (33.7%), ხოლო დაახლოებით ამდენივე ნაწილს (35%-მდე) უჭირს პასუხის გაცემა.

ამასთან, **საქართველოს მოსახლეობის** თითქმის 47%-ის აზრით, ბიძინა ივანიშვილის დასანქცირება **უნდა გაგრძელდეს**.

ეთნიკური უმცირესობების ყველაზე დიდი ნაწილი (44.4%) სანქციების შეწყვეტის მიზანშეწონილობაზე მიუთითებს.

თქვენი აზრით, აშშ-ის მიერ ბიძინა ივანიშვილის დასანქცირება ივანიშვილის გავლენას/ძალაუფლებას საქართველოში უფრო მეტად აძლიერებს თუ ასუსტებს?



თქვენი აზრით, უნდა გაგრძელდეს თუ შეწყდეს ბიძინა ივანიშვილის დასანქცირება აშშ-ის მიერ?



საქართველოს მოსახლეობის გამოკვეთილ უმრავლესობას (77%-მდე) **სმენია** აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ შსს მაღალჩინოსნებისთვის დაწესებული სანქციების შესახებ. ინფორმირებულობის დონე გაცილებით ნაკლებია **ეთნიკურ უმცირესობებში** (42%).

საქართველოს მოსახლეობაში ყოველი მეორე რესპონდენტი აღნიშნულ სანქციებს **სამართლიანად** მიიჩნევს. სანქციები უსამართლოდ მიაჩნია 35.1%-ს. **ეთნიკურ უმცირესობებში** ამბივალენტური დამოკიდებულებაა, ამასთან მაღალია გამოხატული პოზიციის არმქონეთა წილი (32.7%).

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა მძიმე სანქციები დაუწესა შინაგან საქმეთა მინისტრს, ვახტანგ გომელაურს, შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის დირექტორს ზვიად ხარაზიშვილს („ხარება“) და მის მოადგილეებს. გსმენიათ თუ არა ამის შესახებ?







საქართველოს მოსახლეობაში უმრავლესობა (54.2%) ამ შემთხვევაშიც თვლის, რომ აშშ-ს მიერ დაწესებული სანქციები ქ/ოცნების თანამდებობის პირებს **ასუსტებს.**

ეთნიკური უმცირესობებში გაცილებით ნაკლებია იმათი წილი (35%), ვინც სანქციების გამო მაღალჩინოსნების დასუსტებაზე მიუთითებს. კვლავ მაღალია არ ვიცი/უარი პასუხზე პროცენტული მაჩვენებელი (37.2%).



საქართველოს მოსახლეობის თითქმის 47%-ის აზრით, ქ/ოცნების თანამდებობის პირების დასანქცირება **უნდა გაგრძელდეს**. დასანქცირებას ეწინააღმდეგება **ეთნიკური უმცირესობების** 48%.



საინფორმაციო წყაროები

საქართველოს მოსახლეობაში გამოიკვეთა ორი წყარო, საიდანაც რესპონდენტები **ინფორმაციას იღებენ** ქვეყანაში მიმდინარე **სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების შესახებ:** საქართველოს სატელევიზიო არხები და სოციალური მედია

ეთნიკურ უმცირესობებში ძირითად წყაროდ დასახელდა სოციალური მედია (54%-მდე). აქტუალურია, აგრეთვე, არაფორმალური წყაროები (34%), საქართველოს სატევიზიო არხები (28.6%) და აზერბაიჯანული მედიასაშუალებები (25.2%).

ძირითადად, რომელი წყაროებიდან იღებთ ინფორმაციას საქართველოში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების შესახებ? (საქართველოს მოსახლეობა N=2000)



ძირითადად, რომელი წყაროებიდან იღებთ ინფორმაციას საქართველოში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების შესახებ? (ეთნიკური უმცირესობები N=384)







საქართველოს მოსახლეობაში საქართველოს სატელევიზიო არხებს შორის, არცთუ დიდი დისტანციით, ლიდერობენ:

- ✓ იმედი
- ✓ მთავარი არხი
- ✓ ტვ პირველი

ეთნიკურ უმცირესობებში დაწინაურებულია **იმედი** და **რუსთავი 2.**

ქ/ოცნების & Co მომხრეები , როგორც **საქართველოს მოსახლეობაში, ისე ეთნიკურ უმცირესობებში,** ინფორმაციას პირველ რიგში იღებენ „იმედისგან“(მოსახლეობა-82.1%; ეთნიკური უმცირესობები-44%); პოპულარულია, აგრეთვე, რუსთავი 2 (საქართველოს მოსახლეობა 40.3%; **ეთნიკური უმცირესობები** - 37.5%).

ოპოზიციონერ ამომრჩევლებს შორის, როგორც **საქართველოს მოსახლეობაში, ისე ეთნიკურ უმცირესობებში** ინფორმაციის 2 მთავარი წყარო გამოიკვეთა სატელევიზიო არხებს შორის: მთავარი (საქართველოს მოსახლეობა-59.9%; ეთნიკური უმცირესობა-27.8%) და ტვ პირველი (51.8%; ეთნიკური უმცირესობა-31.3%).

აღსანიშნავია, რომ **ეთნიკური უმცირესობების** იმ ქვეჯგუფში, რომელსაც, პოლიტიკური კუთვნილების მიხედვით, **გაურკვევლები** შეადგენენ, ყურებადობის მაღალი ინტენსივობით გამოირჩევა იმედი და რუსთავი 2.

საქართველოს სატელევიზიო არხების რეიტინგი პოლიტიკური კუთვნილების მიხედვით (საქართველოს მოსახლეობა N=1328)



საქართველოს სატელევიზიო არხების რეიტინგი პოლიტიკური კუთვნილების მიხედვით (ეთნიკური უმცირესობები N=119)



სოციალურ მედიებს შორის, როგორც **საქართველოს მოსახლეობაში**, ისე **ეთნიკურ უმცირესობებში,** უპირობო ლიდერია **ფეისბუქი**





იმ პროტესტის შესახებ, რომელიც მიემართება პირველი არხის ეთერის გახსნას, **სმენია საქართველოს მოსახლეობის** გამოკვეთილ უმრავლესობას (70%-მდე).

პირიქით, **ეთნიკური უმცირესობების** წარმომადგენლების გამოკვეთილ უმრავლესობას (72%) **არ სმენია** აღნიშნულის შესახებ.

საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი რაოდენობა (40.1%) **დადებითად აფასებს** იმას, რომ პროტესტის შედეგად, პირველმა არხმა, „საგანგებო ეთერის“ ფარგლებში, სპეციალური დრო დაუთმო სხვადასხვა ჯგუფებს და ადამიანებს. უარყოფით შეფასებას გამოხატავს მხოლოდ დაახლოებით 15%.

ეთნიკურ უმცირესობებს, ძირითადად, უჭირთ აღნიშნული ცვლილების შეფასება (43.7%).

გსმენიათ თუ არა იმის შესახებ, რომ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოში დაწყებული პროტესტი შეეხო, აგრეთვე, პირველ არხსაც (საზოგადოებრივ მაუწყებელს), როდესაც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა და აქტივისტებმა მოითხოვეს პირველი არხის ეთერის გახსნა





როგორ აფასებთ იმას, რომ, პროტესტის შედეგად, პირველმა არხმა (საზოგადოებრივმა მაუწყებელმა), „საგანგებო ეთერის“ ფარგლებში, სპეციალური დრო დაუთმო სხვადასხვა, ოპოზიციურად განწყობილ ჯგუფებს და ადამიანებს?



პირველი არხის „საგანგებო ეთერს“, გარკვეული სიხშირით, უყურებს **საქართველოს მოსახლეობის** 40.5%.

თუმცა, რეგულარული მაყურებელია მხოლოდ 6%.

ეთნიკური უმცირესობების დიდი უმრავლესობა (75.7%) საერთოდ არ უყურებს პირველ არხის „საგანგებო ეთერს“. იშვიათად უყურებს 13%-მდე, ხოლო ზოგჯერ - 8%.



დემოგრაფიული მონაცემები

ორივე ჯგუფში **სქესის** მიხედვით ჭარბობენ ქალები (მოსახლეობა - 53.9%; **ეთნიკური უმცირესობები** - 52.4%), ხოლო **ასაკობრივ ჯგუფებში** - 30-54 წწ. რესპონდენტები (**ეთნიკური უმცირესობები** - 45.2%; საქართველოს მოსახლეობა-43.6%).







ორივე ჯგუფში (განსაკუთრებით, **ეთნიკურ უმცირესობებში**) ჭარბობენ ისინი, ვის მიერ მიღწეული **განათლების ბოლო დონეა** არასრული/სრული საშუალო განათლება (ეთნიკური უმცირესობები - 67.1%; საქართველოს მოსახლეობა-42.4%)

უმაღლეს განათლების მქონეთა წილი გაცილებით ნაკლებია **ეთნიკური უმცირესობებში** (16.2%), საქართველოს მოსახლეობასთან შედარებით (30.6%).





ეთნიკური უმცირესობებში ჭარბობენ ადამიანები სამუშაო ძალის გარეთ (პენსიონერების და შშმ პირების ჩათვლით) (29.1%) და თვითდასაქმებულები (23.2%).

საქართველოს მთელ მოსახლეობაში, სამუშაო ძალის გარეთ მყოფი ადამიანების გარდა (29.4%), ჭარბად არიან წარმოდგენილები კერძო სექტორში დასაქმებული ადამიანები.

როგორ შეაფასებდით თქვენი ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობას ამჟამად?

როგორც საქართველოს მოსახლეობაში (51%), ისე **ეთნიკურ უმცირესობებში (42.1%)** ძირითად ნაწილს შეადგენენ ისინი, ვინც აცხადებს, რომ **ოჯახს ფული ყოფნის საკვებზე და ტანსაცმელზე, მაგრამ არ აქვთ საშუალება, შეიძინონ ძვირადღირებული საყოფაცხოვრებო ნივთები**.

ორივე ჯგუფში თანაბარი რაოდენობით არიან წარმოდგენილნი ისინი, ვინც ამბობს, რომ:

- **მათ ოჯახებს ფული საკვებზეც კი არ ჰყოფნით** (საქართველოს მოსახლეობა - 7.5%; **ეთნიკური უმცირესობები - 7.2%**)
- **ფული მხოლოდ საკვებზე ჰყოფნით** (საქართველოს მოსახლეობა - 21%; **ეთნიკური უმცირესობები - 20.4%**)



ოჯახების **საშუალო თვიური შემოსავლების** მიხედვით ირკვევა, რომ როგორც მთლიან მოსახლეობაში, ისე ეთნიკურ უმცირესობებში თითქმის თანაბრად წარმოდგენილია დაბალი შემოსავლების მქონე ოჯახების წილი (დაახლოებით მეხუთედი ორივე ჯგუფში).

მეორე მხრივ, **საშუალო** და **მაღალი შემოსავლების** მქონე ოჯახების წილები უფრო მაღალია საქართველოს მოსახლეობაში, ვიდრე **ეთნიკურ უმცირესობებში.**

აღსანიშნავია, რომ **ეთნიკური უმცირესობების** ჯგუფში დაახლოებით 30% უარს ამბობს ოჯახის შემოსავლების დასახელებაზე, ხოლო დამატებით თითქმის 15%-ს შემოსავლების დასახელება გაუჭირდა.



გმადლობთ ყურადღებისთვის!